პარასკევი, 4 მაისი 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 95

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს [illegible] რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

## „ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი"-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი. სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—94)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—102)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს სბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—3)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—14)

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—20)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო** — შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.

**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.

**ცნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**როზმაინსკი**—სბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.

**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

**თეთრამე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.

**ზოყოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**მონწე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.

**ექიმი ქალი იოხელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**გორობცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.

**პივარსკი**
**ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—81)

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის
საპედაგოგიო საბჭო აცხადებს, რომ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოხდება
**აგვისტოში.**

თავისუფალ ადგილების რაოდენობა გიმნაზიურ კლასებში და მოსამზადებელ განყოფილებებში შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—ნ.—2)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—42)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხმოსნების ამოსარჩევად საბოლოო სიები მეორე საარჩევნო ნაწილისა, რომელიც შესდგება მე-5, 6 და 7 საპოლიციო ნაწილისაგან, აგრეთვე წესები და ინსტრუქციები თვით არჩევნების მოხდენისა და ბლანკები ხმოსნების კანდიდატების ჩასაწერად შეიძლება მსურველებმა მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში სამ ამა მაისიდან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (3—ნ.—1)

## ქ. ქუთაისში
საზოგადო საკრებულოს დარბაზში, 6 მაისს, კვირას, დღისით 12 საათზე. **ალ. ივ. ნათაძე** წაიკითხავს ქართულად **პედაგოგიურ ლექციას**, ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. (3—უ.—2)

ქუთაისის ქალაქის
## გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის მაისის 9-სთვის, დღის 12 საოზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სადორიის აგარაკში ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად. ხარჯაღრიცხვისა და სხვა პირობების გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—ნ.—3)

დილის წარმოდგენა
**ავლაბრის თეატრში**
კვირას 6 მაისს, 1907 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ არტისტ ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თანამედროვე პიესა
## ამ დროის გმირები
სურათები ტფილისის ცხოვრებიდან. 5 მოქმ. ალ. ბაქრაძისა.

ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 10 კაპეიკამდის. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში. ვისაც ორი აპრილის „რენესანის" თეატრის ბილეთები აქვს, შეუძლიან ისარგებლოს ექვს მაისის წარმოდგენით. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე. (3—უ.—3) გამგე **ალ. ბაქრაძე.**

## წიგნის მაღაზია
გრ. ცაცაშვილისა.
განოვის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 8
(მეოთხე სახლი ერევნის მოედნიდან)

**იყიდება ნახევარ ფასად** სრულიად ახალი რუსული წიგნები, გამოცემანი: „მოლოტი"-ს, „ნოვი მირი"-ს, „ამირანის" და სხვების. სხვათა შორის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები: ვანდერველდესი და დესტერის „სოციალიზმი ბელგიაში", იეკისა—„ინტერნაციონალი", ლისაგარესი—„პარიზის კომუნის ისტორია", მარქსისა—„კლასთა ბრძოლა საფრანგეთში", ენგელსისა—„მუშების მდგომარეობა ინგლისში", ბაზაროვისა—„ანარქიული კომუნიზმი და მარქსიზმი", ფერრისა—„კოლექტივიზმი და პოზიტიური მეცნიერება", ვანდერველდესი—„სამრეწველო განვითარება და საზოგადოებრივი წეს-წყობილება" და მრავალი სხვა მაღაზია ღიაა 9—2 ს. და 5—7 საათამდის. (3—უ—2)



## ყურადღება!!!
მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთ ნ.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დახარალებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია"-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მე-3 საპ. ნაწილი, ტროიცკის ქუჩა, № 7, მთავარ ფოსტამტის მეზობლად. 9-დან 6 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (50—73.—3)

**ახალი წიგნი**
დაიბეჭდა და საიდგომოდ გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**ახალი ისტორიული მონოგრაფია**
## ამბოხება კახეთისა 1812 წ.
ა. ფრონელისა.

ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების" მაღაზიას. იგი ფას დადებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ." (10—უ.—5)

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა
## ნაშრომი
1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება", 2. **ახალი ქართლის ცხოვრება** (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა".)

**ფასი ერთი აბაზი**

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას" გაჭირვებულ მეგრელ-გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში" იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია", „ქართ. გრამატიკა" და სხვ. გამოცემანი.

**შეცდომის გასწორება.** წაიკითხეთ: „ნაშრომის" გვ. 5—დაარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80—travailleur, 83—წარსულის... მკრთალად. (10—უ.—5)

---

ტფილისი, 4 მაისი

თანდათან ირკვევა, რომ შიმშილობა წელს საქართველოში მარტო სამეგრელოს არა სწვევია. დასავლეთ საქართველოსთან ერთად დამშეულია მრავალი სოფელი ქართლისა და, როგორც ჩვენი კახელი კორესპონდენტის წერილიდან სჩანს, დამშეული ყოფილა აგრეთვე კახეთი. ხორბალი თითქმის ყველგან გამოლევიათ, ახალს მოსავალს კი ჯერ სამ თვემდე ლოდინი უნდა.

როგორ გაადონდიალებს ხალხი ამ სამ თვეს—ეს არავინ არ იცის და, როგორც სჩანს მეგრე რიგად არც არავის აინტერესებს.

ოფიციალურად საქართველოში შიმშილი არ არსებობს. პური ყველას თავზე საყრელი აქვს. დახმარება საჭირო არაა. პურის ნაკლებობა მავნე პირების მოგონილი ამბავია. საზოგადოება ტყუილად აალაპარაკეს მავნე პირებმა. საზოგადოების დასამშვიდებლად საჭიროა, აიკრძალოს ფულის მოგროვება დამშეულთა დასახმარებლად. მათ დასახმარებელი არაფერი აქვთ, ისეც მაძღარნი არიან.

ასეთი მდგომარეობაა **ოფიციალურად.** მაძღარს ყოველთვის უძნელდება მშიერი ადამიანის გაგება. ეს სიძნელე ეხლა ერთი ორად გაორკეცებულია. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც სრულიად არ გაუჭირდებოდა, ცოტა წვლილი გაეღო შიმშილით დასუსტებულთა მოსაბრუნებლად, სამარცხვინო გულცივობას იჩენს... იკითხეთ „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებაში" და შეიტყობთ, რომ სულ ათასი მანეთი ძლივს მოგროვილა დღევანდლამდე დამშეულთა დასახმარებლად.*)

ათასი მანეთი... ამაზე სასტიკი დაცინვა, ამაზე მკვახე დამასხარავება ხალხის უბედურებისა ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ გვახსოვს, რომ ორიოდე წლის წინად ქართველი საზოგადოება არტისტის ვლ. ალექსეევ-მესხიევის საქიმოდ აგროვებდა ფულს და ორი-სამი თვის განმავლობაში გაცილებით ამაზედ მეტი მოგროვდა. გვახსოვს კიდევ ბევრი სხვა შემთხვევა, როცა ქართველი საზოგადოება შესაფერს გულუხვობას იჩენდა ამა თუ იმ კერძო საქმის გამო. ეხლა მთელი ხალხი დამშეულია, ზოგან შიმშილობის თანამგზავრი ავადმყოფობაც უკვე გაჩენილია და... ათასი მანეთი. დამშეულებს რომ ერთი თავი ჰქონდეთ, ამ ათასს მანეთს უკან მიაყრიდა „ქველმოქმედებს" და თავს არ დაამდაბლებდა ტყუილ უბრალოდ.

ჩვენებური „ქველმოქმედების" უზომო გულცივობა და სამარცხვინო სიკერპე აქაც არ თავდება. თვალი რომ გადაავლოთ იმ ადგილების სიას, საიდანაც ორიოდე გროში შემოდის დამშეულ ქართველთა სასარგებლოდ, ჰნახავთ, რომ დიდი უმრავლესობა [illegible] შემოწირულებათა საქართველოს საზ[illegible]რეზე მდებარე ადგილებიდან [illegible]აზე დიდი შემოწირულება ოდე[illegible]დან მოვიდა; ოდესელ ქართველებს ოთხასი მანეთის მოგროვება მოუხერხებიათ. მეორე ადგილი უკავიათ ციმბირში გადახვეწილ ქართველებს. მესამე - სხვა არა ქართულ ქალაქებს და სულ უკანასკნელი თვით საქართველოს.

ის ქართველები, რომლებიც დროებით თუ სამუდამოდ თავის სამშობლოდან უცხო ადგილებში გადახვეწილან, გაცილებით მეტს გულუხვობას იჩენენ, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებნი. ალბად, იმათ უფრო შესტკივათ გული დამშეულ ქართველებისთვის.

„ერთობის" აზრებს მთელს რუსეთში არსად ისე მაგრად არ გაუდგავს ფესვები ხალხის გულში, როგორც ჩვენშიო—იტყვიან ხოლმე. ეს იქნება მართალიც იყოს, —ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ამ ნაქებმა „ერთობამ" რომ კარზე მომდგარ უბედურების წინაშე უმწეოდ დაჰყარა ფარხმალი და რეალურად ამ „ერთობის" გამოსახატავად ვერაფერი გაიმეტა, ეს კი უეჭველია,

კახეთიდან კორესპონდენტი იწერება, სოფელი აქამომდე მახობლიანს პურს სჭამდა, თან ფეტვის და ქერის მჭადს იშველიებდა გასაძლებად, ეხლა ესეც შემოლიათო. სხვაგან ამაზედ კიდევ უფრო უარესი ამბავია. ქართველი საზოგადოება კი ყურსაც არ იბერტყავს და თითქოს ადმინისტრაციის დირექტივებს ემორჩილება: შიმშილობა არ არის და არც შემოწირულებათა მოგროვებაა საჭიროვო.

კახელი კორესპონდენტი იწერება, გლეხს არავისი იმედი არა აქვსო. ან კი ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს მას? როდის ყოფილა, რომ გლეხის გაჭირვების გამო ვისმე თავი გაეცხელებინოს? აკი არც ეხლა იწუხებს ვინმე იმისთვის თავს?

მაშ, ასე: შიმშილი და უიმედობა, უიმედობა და შიმშილი. აი ქართული სოფლის ეხლანდელი მდგომარეობა.

---

### ხორციელდება პროლეტარიზაცია!

ყველას, ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჟურნალ-გაზეთებს, გაგებული აქვს, რომ წელს შიდა რუსეთთან ერთად ჩვენს ქვეყანაშიაც დიდი შიმშილობაა შარშანდელ გამანადგურებელ მიზეზებისა გამო. ცნობილია, რომ წაგებულ რევოლიუციას მოსდევს ხოლმე მკაცრი რეპრესია, რომლის შედეგიც აუცილებელი შიმშილია მშრომელ კლასებისა. ეს ფაქტი დღესაც გამართლდა. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს ეჭირვება ძმური შემწეობა და, რამდენადაც შეიძლება, ხელის შეწყობა. მით უმეტეს სავალდებულოა ეს იმ „სოციალისტურ" პარტიისათვის, რომელიც დღევანდელ მოძრაობას თავში უდგას, იგი უნდა ცდილობდეს გამოუნახოს მშიერ ხალხს რაიმე საშვალება და წყარო კუჭის დასაკმაყოფილებლად.

ცნობის მოყვარეობამ მაიძულა ორი-სამი დღით გავსულიყავ სოფლად და დავრწმუნებულიყავ, თუ რა აზრზეა დღეს სოფლის მუშა ხალხი და როგორ ფიქრობს შემდეგისათვის აუცილებელ შიმშილისაგან თავის დახსნას. ახალ-სენაკიდან გავწიე ზემო-თეკლათისაკენ, სადაც ბევრი ნათესავ-მოყვარე მყავს, რომელთაგანაც მინდოდა გამეგო ნამდვილი და უტყუარი ამბები დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. მათის სიტყვებიდან დავრწმუნდი, რომ გაჭირვება უკიდურესია, სოფელში ერთ მეოთხედს თუ ექნება სიმინდი, სხვები-კი ყიდულობენ და ისიც სანახევროდ დაფერფლილ სიმინდს. თვალ წინ დამეხატა საზარელი სურათი გაჭირვებულ ცხოვრებისა. შრომის მოყვარე თეკლათელებს ჩვეულებრივ მუყაით მუშაობის ნაცვლად ეტყობოდათ უსიცოცხლო მოძრაობა, განუსაზღვრელი ფიქრი. ყველა თავ-ჩაქინდრული და დაძმარებული დადიოდა. ამნაირსავე მდგომარეობაში იყვნენ ქალებიც. ვიკითხე მიზეზი ცვლილებისა. როგორც გამოირკვა, სოფლელებს აფიქრებდათ, ერთის მხრით, აუცილებელი შიმშილი და, მეორის მხრით, მუქარა ადგილობრივ ს.-დემოკრატების სახელით გავრცელებული. წარმოიდგინეთ, მარქსის იდეების მატარებელ ვაჟ-ბატონებს უკონცეტრაციოდ პროლეტარიზაციის განხორციელება განუზრახავთ და ისიც ასეთ გაჭირვებულ დროს: გაუციათ თავიანთ სამეფოში მკაცრი ბრძანება: „წრეულს ნურავინ გაბედავს აბრეშუმის მოყვანას. ვინც ამ ბრძანებას გადავა, სიკვდილით იქნება დასჯილიო. ამ ბრძანების მეოხებით და მოკვლის შიშით მთელს სოფელს ჯერ ხელიც არ მოუკიდნია აბრეშუმის თესლისთვის. მე ჩემის მხრით ბევრი ვარწმუნე სოფლელები, რომ ეგ სისულელეა, რომ ზოგიერთ ყმაწვილებს არ უნდა დაუჯეროთ, რადგან ვინ იცის, იქნება წინ და წინ მოსაზრებულის ანგარიშებით გატყუილებენ მეთქი და სხვა, მაგრამ ჩემს რჩევაზე მიპასუხეს, ბრძანებას ვერ დავარღვევთ, რადგან იგი გაცემულია პირ და პირ პარტიის სახელითაო. გამიკვირდა ასეთი უცნაური ბრძანება, მაგრამ მეორე მხრით გამეცინა, რადგან მათ მოქმედებაში გამოსჭვიოდა პროლეტარიზაციის განხორციელება არა კონკურენციის საშუალებით, არამედ სხვა უფრო „მეცნიერულ" მოსაზრებით (განა მარქსის მეცნიერება აქსიომაა?).

ამას დავრწმუნდი მაშინ, როდესაც ერთს შეგნებულს ესდეკს მოველაპარაკე. იმანაც დამიმტკიცა, რომ მათმა პარტიამ პროლეტარიზაციის განხორციელება ამ გზით არჩია. ამნაირად გაპროლეტარებული სოფლის ხალხი რეპრესიას უფრო თავგანწირულად შეებრძოლებაო. რა მქონდა სათქმელი, გარდა იმისა, რომ ეს ხალხის აბუჩად აგდებაა და მათი თვალის ახვევაა მეთქი. გავახსენე, რომ მარქს არსად არ უწერია ამ გზით პროლეტარიზაციის მოხდენა, არამედ მას კონკურენციის და კონცენტრაციის საშუალებითა ჰსურს ეს მეთქი, და თან შევეკითხე, რატომ გამოჰყვეს კონცეტრაცია პროლეტარიზაციიდან, პასუხი კი სასაცილო იყო. ჩემმა მოკამათემ აქაც უსირცხვილოდ მოინდომა დე-

*) „საზოგადოების" თანხა მეტია, მაგრამ ის შემოსული იყო ორის წლის წინად დასავლეთ საქართველოს აწიოკების დროს; პირდაპირ ახლად დამშეულთათვის კი ას თუმანზე მეტი არ შესულა „საზოგადოების" კასსაში.

აგოგობა. დამიწყო დამტკიცება იმისა, რომ ხალხს ისინი ამ გზით აბედნიერებენ, შეაქვთ თან და თანობით შეგნება აუცილებლობისა და სოციალიზმის განხორციელებისა. რა მეთქმოდა, გარდა პირდაპირ შეფურთხებისა, რადგან არავითარმა დამტკიცებამ არ გასჭრა. წარმოიდგინეთ, მარქსის „კაპიტალიც“ კი უარ-ჰყო და რამდენათაც შეეძლო ხალხს გარდასცა, რომ ჩვენი პროგრამმა უტოპისტურიაო. მაგრამ ხალხმა პასუხი გასცა მხოლოდ მტრულის დუმილით.

როგორც გადმოგვცეს, ასეთი განკარგულება მარტო სამეგრელოში კი არა, გურიაშიაც მოუხდენიათ გამოვემშვიდობე საზოგადოებას გულმოკლული. დავრწმუნდი, რომ საბრალოა სოფლის მუშა ხალხი არა მარტო იმიტომ, რომ იგი მებატონისა და ბიუროკრატიისაგან ნაწვალებ-წამებულია, არამედ იმიტომაც, რომ ხალხის ბედ-იღბალს განაგებენ ისეთები, რომელთაც სრულებით არ სწამთ მისი გულ ს გოდება, მეთაურობს ისეთები, რომელთაც ხალხისა არა გაეგებათ რა და რომელნიც ხალხის გულკეთილობას ბოროტად ხმარობენ...

დასასრულ არ შემიძლია არ შევეკითხო ესდეკების ადგილობრივ მეთაურებს, ნუ თუ მართლა ასე აქვთ მათ გაგებული მარქსის „კონცეტრაცია-პროლეტარიზაცია? ნუ თუ მართლა საჭიროდ მიაჩნიათ ხალხის ძალად დამშევა, რომ ამით მებრძოლი არმია შექმნან? ვაი იმ ხალხს, ვისაც ასეთი უგუნური ხელმძღვანელები ჰყავს!*)

**ზღვის-პირელი.**

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახელ. სათათბირო.** სათათბიროს აგრარული კომისია პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ სამოქმედო პროგრამის განხილვას შეუდგა. განიხილეს ორი პირველი მუხლი. სახელდობრ: აგრარულ რეფორმის ძირითადი საფუძვლები ადგილობრივ გამოარკვიონ, თუ სათითბიროში; თუ სათათბიროში, მაშინ, პრეზიდიუმის აზრით, კომისიამ უნდა განმარტოს შემდეგი საკითხები: აუცილებლად საჭიროა თუ არა იძულებით მიწის ჩამორთმევა, საადგილ-მამულო ფონდი და რა ფორმით: მთელი მიწა გადაეცემა თუ არა რეფორმის მიზნისათვის, ყველა ფონდს გადაეცემა თუ არა, ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მიწა მიიღოს თუ ამის შესახებ იქმნება რამე განსაზღვრა და რა ნაირად. რამდენი მიწა უნდა მიეცეს თითოს, მიწა უნდა გამოისყიდონ თუ მუქთად ჩამოართვან მემამულეთ თუ სხვა საშუალებით მოეწყობა ეს საქმე. მემარცხენეებმა საჭიროდ სცნეს ერთსა და იმავე დროს ეს საკითხები გაირჩეს სათათბიროშიაც და ადგილობრივაც. მემარჯვენეებსა, ზომიერებსა და კოლოს შორის პროგრამამ უკმაყოფილება გამოიწვია. იმათ საჭიროდ სცნეს საკითხის წინდაწინ გადაწყვეტა. კომისიამ მიანდო მათ შეიმუშაონ საკუთარი მოხსენება, ამასთან დაადგინა, შეადგინოს მცირე კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს, საკითხი, თუ როგორ მოეწყოს ადგილობრივი კომიტეტები. მცირე კომისია სიძვირისა გამო სტენოგრაფიულ ანგარიშებს არ გამოსცემს.

**სახ. საბჭო** სახ. საბჭოს 2 მაისის სხდომაზე განხილულ იქმნა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება იმის გამო, რომ სენატმა არ გამოაქვეყნა საბჭოს მიერ შარშან შემუშავებული პროექტი ნაკაზისა. სენატმა უკანონოდ სცნო ნაკაზის ის მუხლი, რომლის ძალით საბჭოს ნება უნდა ჰქონოდა გარეშე მცოდნე პირთა მოწვევისა თავის სხდომებზე, და უკანვე დაუბრუნა სახ. საბჭოს მთელი ნაკაზი. სახელმწიფო საბჭომ, თანახმად კომისიის დადგენილებისა, გადასწყვიტა ამორიცხოს ნაკაზიდან სენატის მიერ დაწუნებული მუხლები. იმავ სხდომაზე განხილულ იქმნა სახ. სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი სამხედრო-საველე სასამართლოების შესახების კანონის გაუქმების გამო. იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა განაცხადა: ამ საქმეში ფორმალურადაც და არსებითადაც დარღვეულია კანონი: ფორმალური დარღვევა ისაა, რომ სათათბირომ არ შეატყობინა სამინისტროს წინდაწინვე, რომ იხილავს კანონპროექტს; არსებითად კი ამ კანონს სრულიად აზრი აღარ აქვს, რადგან 20 აპრილს თავისთავად მოისპო სამხედრო-საველე სასამართლოების მოქმედება. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით უარჰყო სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი.

## ახალი ამბავი

✦ **უარი შემწეობაზე.** როგორც „ზაკავკ.“-ს გაუგია, თანახმად ქუთაისის გუბერნატორის მოხსენებისა, რომელიც ამტკიცებს თურმე, რომ ტფილისის გუბერნიაში შიმშილი არ არისო, მთავრობას დაუდგენია, გლეხებს სესხი არ მისცეს.

✦ **პატრულის სალდათის დაჭრა.** 2 მაისს პოლიციის მე-6 ნაწილში, სირაჯხანის აღმართზე, მინგრელსკი პოლკის პატრული მიდიოდა. წინ ვიღაც უცნობი შეჰხვდათ. პატრულის აფიცერმა შეაჩერა და უნტერ-აფიცერი გაჰგზავნა გასაჩხრეკად. უცნობს, როგორც აღმოჩნდა, რევოლვერი ჰქონია და როცა შეუტყვია დამაპატიმრებენო, სალდათის პასეროვის მიახლოვებისთანავე, ამოუღია რევოლვერი და ორჯელ უსროლია. პასეროვი დაიჭრა გულსა და მუცელში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. უცნობი გაიქცა, პატრული სროლით გამოუდგა, მაგრამ იგი დაიმალა.

✦ **სროლა.** 2 მაისს, საღამოს 7 საათზედ, მირზოევის აბანოსთან ახლო მინავლებულა ნიკოლოოზ თოფურია. ვიღაცას უსროლია რევოლვერი და ფეხში დაუჭრია. ხმაურობაზე თავის ბინიდან რევოლვერით ხელში გამოვარდნილა მე 5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე დავით მაჰავარიანი და რევოლვერის სროლა დაუწყია. ხალხი ახლო-მახლო ძალიან შეშინებულა. როგორც ამბობენ, მაჰავარიანი ფხიზელი არა ყოფილა, რის გამოც იგი სამსახურიდან სრულიად დაუთხოვნიათ.

✦ **ბოლქვაძისა და დოლგოვის საქმე** „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით, გაზ. „XX ვეკ.“-ის რედაქტორები ბოლქვაძე და დოლგოვი პეტერბურგის ოლქის სასამართლოს მიერ სისხლის სამართალში არიან მიცემულნი გაზეთში წერილის დაბეჭდვისათვის ამ სათაურით „გულის აღმრევი ფაქტები“. ამას წინად ამ საქმის გამოსაძიებლად მოწმეებად მიიწვიეს სათათბიროს კავკასიელი დეპუტატები, რომელთაც დაამტკიცეს, რომ ხსენებულ წერილში აღნიშნული ფაქტები, ალიხანოვის ჯარის ძლევა-მოსილი მოღვაწეობა კავკასიაში, სინამდვილეა. დეპუტატებმა დაამტკიცეს, რომ თვით დაესწრნენ და თავიანთ თვალით ნახეს კავკასიაში მომხდარი ძალმომრეობის საზარელი სურათები. გამოძიება უკვე დასრულებულა და საქმე გადაუციათ პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორისთვის. საქმის გარჩევას სასამართლოში, სადაც მოწმეებად სათათბიროს კავკასიელი დეპუტატები დაესწრებიან, დიდი საზოგადო მნიშვნელობა ექნება.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი** უბნის ზედამხედველის საგინაშვილის მოკვლის გამო ოლგას ქუჩაზე დაკეტეს ტრაქტირი გაბრიელ ჰელიძისა, რომლის მახლობლადაც მკვლელობა მოხდა, ხოლო სახლის პატრონი, სადაც ტრაქტირია მოთავსებული, რადგან სახლს ორი გასავალი ჰქონია, დააჯარიმეს 1500 მანეთით. ვ-ატკის გუბერნიაში სამი წლით იგზავნება მამედ ალაკბარ-ოღლი, რომელსაც იარაღი აღმოაჩნდა. ტფ. სავ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ნ. კუროჩკინი, ნ. აკსენოვი, ს. სუპოდიშვილი, გაბრ. ბერუაშვილი, თედ. დანელია, თომა დანელია, იოსებ ბერიძე, ალექსანდრე მაისურაძე, ვლად. მჭედლიძე, ნიკ. როსტაშვილი, ს. დხოლბადი, ვასილ სიდომონიძე, ნოე ხაირია, ალექ. მეტრეველი, თ. მანუკოვი, ევგ. შარაშიძე, მიხეილ ქაჯაია, გ. არუთინ-ვი, იოსებ ბურდული, მ. კარაგოევი, გიორგი ბიქლაშვილი, ი. კუ-აევი, გ. კ-ნიგი ყული იმამ-ოღლი, ა. კინკაევი, ი. ელიოზიშვილი და ა. სულხანოვი.

✦ **წარმოდგენა ქართ. დრამ. საზოგ. სასარგებლოდ.** 7 მაისს არტისტიულ საზოგადოების თეატრში იავორსკაიას მონაწილეობით რუსულად წარმოდგენა იმართება ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოადგენენ ფულდის ახალ პიესას „ჰრიმადონა“ და „ქალბატონი ფიფი“.

✦ **ახალი გაზეთი.** ტფილისის ტრამვაის პროფესიონალურ კავშირის მდივანმა კორნევსკიმ სთხოვა გუბერნატორს, ნება მისცეს გამოსცეს რუსულად ყოველდღიური გაზეთი „ტრამვ. ლისტოკი“.

✦ **დახმარება ნახიჩევნის მაზრელებს.** ნამესტნიკს ხაზინიდან გადაეცა ორმოცი ათასი მანეთი. ეს ფული სათესლედ და გამოსაკვებად უნდა მიეცეთ ნახიჩევანის მაზრის 70 სოფლის მცხოვრებთ.

✦ **შუამდგომლობის შეწყნარება.** ნამესტნიკმა ნება დართო ტფ. ქალაქის თვითმართველობას გამართოს ხელის მოწერა რუსეთისა და კავკასიის დამშეულთა სასარგებლოდ ფულის მოსაკრეფად. ფულის მოგროვების ნება იმ პირობით მიეცა ქალაქს, რომ შიდა რუსეთ სთვის ფული გაეგზავნოს მთავრობის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო კავკასიისთვის— ადგილობრივ გუბერნატორებს.

✦ **ადელხანოვი.** ადელხანოვი მუშებს შეჰპირდა, საბოლოვო პასუხს 3 მაისს გაცნობებთო. მუშები გუშინ შეიკრიბნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში და ნაშუადღევის 2 საათამდე უცდიდნენ, მაგრამ ადელხანოვისაგან არავითარი პასუხი არ მოსულა. მუშები დაიშალნენ.

✦ **ალ. კავსაძის ხოროს კონცერტი.** 2 მაისს ავლაბრის თეატრში ალ. კავსაძის ხორომ გამართა ქართული კონცერტი. ხორომი ამ სეზონისთვის შესრულდა თორმეტი ხმა. ხორო ისე კარგად მომზადებულიყო, რომ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა და რამდენჯერმე გაამეორებინა. თვითონ კავსაძემ შეასრულა ურმული და „ვაღმიშვი მთაო“. სამწუხაროდ კონცერტს შედარებით ნაკლები ხალხი დაესწრო. იუმცა მრავალი ხელის შემშლელი გარემოება ელობება ხოროს, მაგრამ იგი განაგრძობს მუშაობას და ახლო მომავალში კიდეც აპირობენ უფრო სრულის პროგრამით კონცერტის გამართვას.

✦ არსენალის ქუჩაზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, ერთს მეპურეს 5 შეიარაღებული კაცი შეუვარდა. მეპურემ ხმაურობა ასტეხა. წაიღეს 50 კაპ. და ერთი პური. უცნობნი გაიქცნენ რევოლვერების სროლით. არავინ დაშავებულა.

✦ 2 მაისს, საღამოს 9 საათზედ, ნაძალადევში ხიდთან ვიღაც უცნობმა, გიმნაზიელის ტანისამოსში გამოწყობილმა, რევოლვერი ესროლა ერთ უმაწვილს. მალე გაჩნდნენ სალდათები, მაგრამ როგორც მსროლელნი ისე უმაწვილი მიიმალნენ.

✦ **ავადმყოფ არტისტთა სასარგებლოდ.** ახალციხიდან ნ. შუიკაშვილისაგან მივიღეთ 70 მან. 36 კაპ. ვ. გუნიას და ი. კარგარეთელის სასარგებლოდ. შემომწირველთა სია: ნ. შუიკაშვილი—3 მ., გ. ღოღობერიძე—5 მ., გ. ჯაფარიძე—3 მ., დ. ხახუტაშვილი—4 მ., დ. ენუქიძე—1 მ., გ. ქიქოძე—2 მ, მღ. ლ. გოზალაშვილი—1 მ., Вл. Пронинъ—1 მ., თ. ვაჩნაძისა—5 მ., ერმონია ორბელიანისა—5 მ., ნ. ჯაფარიძე—2 მ., ჯავახოვი—2 მ., პ. ამაშუყელი—2 მ., Лазаревъ—3 მ., იოსელიანი—1 მ., დაფქვიაშვილი—2 მ., მ. გამრეკელისა—1 მ., გ. თუმანოვი—50 კ., ი. ჩანჩაველი—2 მ., ს. ქობულაძე—1 მ., ნ. ერისთავისა—3 მ., რ. ალელიშვილი—1 მ., Неизвѣстный—1 მ., მ. ზედგინიძე—1 მ., ქ. კანდელაკისა—1 მ., ა. ფედოტოვი—50 კ., კ. მეფისაშვილი—2 მ., ანნა გოგინაშვილი—1 მ., ვ. ყარსელოვი—20 კ., მართა ნიკიტინ —25 კ., ელენე ათაბეგოვი—50 კ., საშა ბაიბურთელი—1 მ., მავარდიაკვანი გ. ჯამასპოვი—50 კ., ევა ჯამასპოვისა—50 კ., მღ. ბ. კანდელაკის მიერ შეკრებილი წმ. მარისეს ეკლესიაში—4 მ. 70 კ., М. Орловская—2 მ., ი. მაისურაძე—2 მ., იერემია ქვანია—50 კ., ი. ნადირაძე—1 მ. სულ—70 მ. 65 კ. ფოშტის ხარჯი—29 კ. დარჩა 70 მ. 36 კ.

ახალქალაქიდან ო. ლობჟანიძისაგან მივიღეთ 20 მან. შემომწირველთა სია: ა. მჭედლოვი—1 მ., ს. საყვარელიძისა—50 კ.. ე. ბაზიეროვისა—50 კ., №№—3 მ., ა. ი. ქალანთაროვი—1 მ. ბ. არდიზინი—1 მ., მ. მარტიკიანელი—1 მ., სულხანოვი—1 მ., ა. დიატიანცი—50 კ., ი. მარქაროვი—50 კ., პ. კიზირია—3 მ., ა. ამბა-

*) დაუჯერებელი ფაქტებია, მაგრამ მაინც ვბეჭდავთ, რადგან სხვა ამნაირი წერილებიც მოგვდის; კორესპონდენტები იწერებიან, ყოველივე ეს ს.-დ. სახელით ვრცელდებაო, და საკვირველია, რატომ არ უარჰყოფენ ს.-დემოკრატები, თუ ამ ხმებს სხვები ავრცელებენ? რედ.

## ფელეტონი

### ფედერალიზმი და სოციალისტური პოლიტიკა

ლ. კულჩიცკისა

(შემდეგი *)

ეროვნულ-კულტურული მხრით ერთფეროვანმა სახელმწიფოებმა, თავიანთ მთლიანობისა და განუყოფელობის დასაცავად საჭირო ჩარჩოში, განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნდა შექმნან განსაზღვრული და გარკვეული დაწესებულებანი: საზღვაო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სასამართლოისა და ადმინისტრაციის ორგანიზაცია, დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების სამოსწავლო სისტემა, დიდ გზების გაყვანა, საზოგადო წესდება საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებისა და გიგიენისა და სხ. ასეთი მთლიანობა ორგანიზაციისა საჭიროა და აუცილებელიც არის ზემოხსენებულ ჯურის სახელმწიფოში. ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ეროვნულ, კულტურულ და მეურნეობის მხრით ერთფეროვანია, უგუნურება იქნება სხვა და სხვა კუთხისთვის სხვა და სხვა სავაჭრო და სამოქალაქო კანონების შემოღება. კანონმდებლობა და ადმინისტრაცია უნდა შეეფერებოდეს საზოგადოების ინტერესებს, ამიტომ საერთო დაწესებულებაც იმდენად არის საჭირო, რამდენადაც ერთფეროვანი და განუყოფელია მისი კულტურა. მაგრამ ერთფეროვან სახელმწიფოშიაც საჭიროა სათემო, საოლქო და სამოქალაქო თვითმმართველობა. აქ მოკლედ მაინც საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ტერიტორიულ ერთეულთა თვითმმართველობა და ავტონომია.

თვითმმართველობა ნიშნავს ადგილობრივ (თემისა, მაზრისა, ოლქისა და ქალაქის) დაწესებულებათა განსაზღვრულ დამოუკიდებლობას (самостоятельность, რომელიც შესამჩნევად განირჩევა მეორე სიტყვისგან—независимость) ადმინისტრატიულ საქმეებში, სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ნიშნავს საზოგადოებრივ მართვა-გამგეობას ადგილობრივად მცხოვრებ პირთა საშუალებით, და არა სახელმწიფოს პროფესიონალურ მოხელეთა შემწეობით. თვით-მმართველობის ორგანოს შეუძლიან გამოსცეს სხვა და სხვა დადგენილებანი, რომელნიც უეჭველად უნდა შეეფერებოდნენ და ეთანხმებოდნენ არსებულ კანონმდებლობას. ავტონომიურ კანონმდებლობას კი უფლება ეძლევა გამოსცეს ყოველნაირი კანონი შესახებ იმ საქმეებისა, რომელიც მას აქვს მინდობილი.

ცოტად თუ ბევრად ერთფეროვან სახელმწიფოში მთავრობა იძულებულია დაუთმოს საზოგადოებას მინიმუმი მთელ ტერიტორიისთვის ერთნაირი დაწესებულებანი, რომლის ძალით თვით-მმართველობის ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ გამოსცენ ისეთი ზედმეტი განკარგულებანი და კანონები, რომელნიც ამ მინიმუმს ალემატებიან. მაგალითად: საზოგადო სამოსწავლო წესდება ადგენს საშუალო სასწავლებლებისთვის სამუშაო გეგმას, მაგრამ ამასთან ცალკე საოლქო კრებებს უნდა მიეცეს უფლება და საშუალება შეიტანონ დამატებითი საგნები, თავიანთ მიერ შემუშავებულ გეგმაზე გაიჩინონ სპეციალური სასწავლებლები. ასევე უნდა იყოს ქველ-მოქმედებისა, კულტურულ და ზოგიერთა სხვა საქმეებშიაც.

ამრიგად, სახელმწიფოს მთლიანობა იქ, სადაც ეს საჭიროა, ძალიან ადვილად შეეფარდება საქალაქო, სამაზრო და საოლქო სხვა და სხვაობას და საზოგადოებრივ ინიციატივასაც თავისუფალი ასპარეზი და გასავალი ექნება.

ასეთი დეცენტრალიზაცია არა თუ სავსებით ეთანხმება თანამედროვე წეს-წყობილების მიმდინარეობას, არამედ მეტად სასარგებლოც არის, რადგან საზოგადოებას საშუალებას აძლევს თვითმმართველობის ორგანო ძალით და მეოხებით უფრო დაახლოვებით და ზედ-მიწევნით გაიცნოს საზოგადოებრივი საქმეები და გააღვიძოს მისი ინტერესი საზოგადოებრივ თვითმოქმედებისადმი.

თუ ასეთ სახელმწიფოებშიაც საჭიროა დეცენტრალიზაცია, მით უფრო საჭიროა იგი ისეთ სახელმწიფოში, რომელიც შესდგება კულტურულ-ეკონომიურად და ეროვნულ-პოლიტიკურად სხვა და სხვა ნაჭრებისაგან.

ასეთ სახელმწიფოში ყველასთვის ერთი და საზოგადო კანონმდებლობა ნამდვილი აბსურდი და უგუნურებაა და იგი არ შეეფერება არა თუ მასზე მოსახლე ამა თუ იმ საზოგადოების ინტერესებს, არამედ მთელ სახელმწიფოს ინტერესებსაც. ამ ინტერესების დაკმაყოფილება შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოს შემადგენელ ყოველ კუთხის ფართო პოლიტიკურ ავტონომიას. ეხლა ვნახოთ, რა არის ავტონომია და რით განსხვავდება იგი თვითმმართველობისა და ფედერაციისაგან.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ, რომ ავტონომია ადგილობრივ წარმომადგენლობას უფლებას აძლევს ადგილობრივ საქმეების შესახებ გამოსცეს განსაკუთრებული კანონები, რომელნიც შეიძლება განსხვავდებოდნენ სახელმწიფოს სხვა კუთხეებში მომქმედ კანონებისაგან. ძალიან ძნელია გამორკვევა განსხვავებისა სახელმწიფოს იმ კუთხეთა შორის, რომელთაც მინიჭებული აქვთ ფართო პოლიტიკური ავტონომია და შეადგენენ ფედერაციას. ძხლანდელ გერმანულ მეცნიერებაში ყველაზე მეტად ის აზრია გავრცელებული, რომ უკიდურესი ფართო პოლიტიკური ავტონომია იმ ოლქ სა ან ქვეყნისა, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს, დამყარებულია მხოლოდ ცენტრალურ პარლამენტის დადგენილებაზე; მაშასადამე, იგი არ გამომდინარეობს ამ ქვეყნის ან ოლქის დამოუკიდებელ კანონებიდან. ამ თეორიის თანახმად, ფედერაცია—წინააღმდეგ ავტონომიისა—ნიშნავს კავშირს სახელმწიფოს თანასწორუფლებიან ნაწილებისას, რომელნიც შინაურ საქმეებში დამოუკიდებელ არიან და იმიტომ კი არ ეძლევათ ასეთი დამოუკიდებლობის უფლება, რომ სახელმწიფოს ცენტრალურმა დაწესებულებამ მიანიჭა იგი, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა სახელმწიფოებრივი ხასიათი შეერთებულ ნაწილებისა (ოლქებისა, შტატებისა, კანტონებისა და სხვ.), ასეთ განმარტებიდან თავის-თავად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ფედერატიული სახელმწიფო ავტონომიურად მოწყობილ სახელმწიფოსგან იმით კი არ განსხვავდება, ვითომ მის ცალკე ნაწილს—ოლქს, კანტონსა და შტატს მინიჭებული ჰქონდეს უფრო ფართო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არამედ ამ დამოუკიდებლობის ხასიათით, უკეთ რომ ვთქვათ, მისი საფუძვლებით.

რომელიმე ოლქის უკიდურესი და ფართო ავტონომია, თუ იგი დაფუძნებულია ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებისგან, შეიძლება მისგანვე შეიცვალოს, ან სრულიად გაუქმდეს დაუკითხავად ამ ოლქისა. ფედერაციებში კი შეუძლებელია შეცვლილ იქმნას შეკავშირებულ ნაწილთა ურთიერთობა მარტოოდენ ცენტრალურ მთავრობის მიერ, არამედ უნდა განხორციელდეს იმ ნაწილების ან ოლქების თანხმობითა და მორიგებით, რომელნიც ერთმანეთს ფედერატიულად დაუკავშირდნენ.

ზემოხსენებული თეორია სავსებით არ ეთანხმება სინამდვილეს. ავიღოთ მაგალითი. ეხლა საერთო ჭეშმარიტად არის აღიარებული ის აზრი, რომ კროაციას ჰუნგრეთის მხრით პოლიტიკურ ავტონომია აქვს მინიჭებული, მაგრამ მისი ავტონომია დამყარებულია არა მარტო ჰუნგრეთის პარლამენტის მიერ გამოცემულ და იმპერატორის მიერ დამტკიცებულ კანონზე, არამედ თითონ კროაციის ორგანიულ კანონებზედაც და ამიტომ ესა თუ ის ცვლილება კროაციისა და ჰუნგრეთის შორის უნდა მოხდეს მხოლოდ ორივე ქვეყნის თანხმობით. თუმცა ინგლისის კანონმდებლობაში კანადისა და ავსტრალიის ავტონომია დამყარებულია ინგლისის პარლამენტის ცალმხრივ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ნამდვილად ეს იურიდიული ფიქციაა, რადგან ამ კოლონიებს უფრო ფართო დამოუკიდებლობა აქვთ, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკის ცალკე შტატებს.

მაგრამ ფედერაციებიც სხვა და სხვანაირია: ზოგნი შეერთებული არიან ნაწილთა სრულ თანასწორობის პრინციპზე (შვეიცარია და ჩრდილო ამერიკა) ზოგ ფედერაციაში კი ერთი ნაწილი უფრო მეტ უფლებებით არის აღჭურვილი, ვიდრე მეორე (გერმანიაში); ზოგი უფრო მეტად არის დეცენტრალისტური, ზოგი—ნაკლებად.

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ფედერაციაში სახელმწიფოს ყოველ ნაწილს უფრო ფართო დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე ავტონომიურ წყობილებაში. ფედერაციაში თანასწორობის პრინციპი უფრო მტკიცედ არის დაცული, ვიდრე ავტონომიაში.

როგორც ვხედავთ, ძალიან ძნელი ყოფილა ავტონომიისა და ფედერაციის განმარტება და განსაზღვრა. ამასთან მხე-

*) იხ. „ისარი“ № 94

როვი—50 მ., მ. ჩახმახიანცი—50 კ., ტ. მაგაკოვი —1 მ., ვ. აივაზოვი—50 კ., ნ. ლობჟანიძე—2 მ. და ო. ლობჟანიძე—2 მ.

ამის გარდა გუნიას და კარგარეთელის სასარგებლოდ მივიღეთ: 3 მ. ს. ბერძენიშვილისაგან („ნდობის" ამხანაგობა), 5 მ. თ. ჟორდანიასაგან, 3 მ. ნასყიდა აკოფოვისაგან (ნოვოროსკი).

✦ პოლიციის გამოძიებით, ნეკრასოვისა და ელისაბედის ქუჩების შესართავთან, მეცუგოვის სახლში მცხოვრებ სამსახურს გარეშე მყოფ გენერალ-მაიორის ფერიდონ ბეკ-ვეზიროვის მზარეულს გასან-ალი ბეკს განუზრახავს გენერლის გაძარცვა. მზარეულს ბებუთით დაუკრია გენერალი ვეზიროვი და მისი მოსამსახურე და გაქცეულა. მზარეულს გამოსდევნებიან და დაუპატიმრებიათ.

✦ საუფლისწულო ქუჩაზე მცხოვრებს არსენ სოლომონიევს ჩხუბი მოსვლია თავის ცოლთან მარიამთან. ამ ჩხუბის დროს სოლომონიევს ცოლი მეორე სართულის აივნიდან ქუჩაში გადმოუგდია. გრძნობა დაკარგული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ვ ლაცუცნობი ოთხ ცხენიანი ფურგუნით ისარლოვის ქუჩიდან მტკვარზე ჩავიდა ცხენებისთვის წყლის დასალევინებლად. მეფურგუნე მტკვარმა ჩაითრია. თუმცა მრავალი ხალხი ნაპირებიდან უყურებდა, მაგრამ ვერავინ დახმარება ვერ გაუწია უცნობს და იგი ცხენებიანად მტკვარმა ჩასძირა და დაახრჩო.

—

**შეცდომის გასწორება.** „ისარის" № 60 ში ა. ს. ხახანაშვილის შესახებ კონტრრეზოლიუციის ხელის მომწერთა სახელსა და გვარში მცირეოდენი შეცდომა შეპარულა ნ. ნაგანაძის მაგივრად უნდა იყოს თ. კაპანაძე, ხარავას მაგივრად:—ნ ხორავა და ვ ნ. ჩიგოიძის მაგივრად—ნ. ჩიგოგიძე.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 22 მარტს პოლიციის მიერ დაბეჭდილ წიგნის მაღაზიის და ჟურნალ-გაზეთების „კოლხიდა"-ს დაკეტვა გენერალ-გუბერნატორს უკვე გადაუწყვეტია სამხედრო წესების მოხსნამდე. გუბერნატორის მიერ დანიშნულ საგანგებო კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „კოლხიდიდან" წაღებულ 880 ცალი სხვა და სხვა წიგნის გადასინჯვა, აღმოუჩენია 13 უცენზურო და მისის აზრით აკრძალული წიგნი, თუმცა შარშან 17 ოქტომბერს აქეთ აღარ ვიცით, როგორ ცენზურას თხოულობენ „კოლხიდის" პატრონისაგან სატახტო ქალაქებში სრულიად ლეგალურად გამოცემულ წიგნებზე ასე გულსმოდგინე პროვინციელ მთავრობის მეკანონეებიი?!.. იქ ნებადართულ წიგნებს აქაურნი თავიანთ ვეტოს ადებენ, ხელახალ ცენზურას უნიშნავენ. დღეიდან კი ადგილობრივ მთავრობის ცენზურების შეუკითხავათ წიგნის მაღაზიები წიგნებს ვეღარ გაჰყიდიან: მიიღებენ თუ არა წიგნებს, იმათ უნდა წარუდგინონ, დააცენზურებინონ და მერე შეიტანონ მაღაზიაში გასაყიდად. გუბერნატორის გადაწყვეტილება უკვე გამოეცხადა „კოლხიდის" პატრონს, ის. კვიცარიძეს, რომელსაც იგი უსამართლოდ მიაჩნია, რადგან ის ბრალდებანი, რომელნიც ამ გადაწყვეტილებაშია, უსაფუძვლოა და ჩვეულებრივ ქუთათურ მეენეთა ხმებზეა დამყარებული, რასაც სარჩულად შურიანობა და კერძო მტრობა უდევს. ჩვენ რამდენადაც თვალ ყურს ვადევნებდით „კოლხიდის" მაღაზიის და კანტორის მოწყობის და მით მწიგნობრობის გავრცელების საქმეებს,—იქ არა-ლეგალურ გამოცემას ადგილი არა ჰქონდა და ვერც ვერავინ მის („კოლხიდის") ხელმძღვანელს დასწამებს იმას, რომ არალეგალურ გამოცემების გავრცელებით მას ასეთი კულტურული დაწესებულება სახიფათო გზაზე დაეყენებინა. ხსენებულ მაღაზიაში იყიდებოდა ისეთი წიგნები, რომლებსაც დღეს რუსეთის აქაურ ყველა საუკეთესო წიგნის მაღაზიაში შეჰხვდებით. ნეტა რა საქმე უნდა დაიწყოს ადამიანმა ქუთაისში, რომ მას შურიანობის ნიადაგზე იმ თავითვე მეენეები არ აუტყდნენ და არ ეცადონ გამოწყობილი საქმის წაქცევას, ჩაქრობას?!.

✦ ქუთაისში ერთ ახალგაზდას აუღია ნება-რთვა წიგნის მაღაზიის და გაზეთების სააგენტო „იმერეთი"-ს გასახსნელად.

## პრესსა

პოლონელთა „კოლო"-ს კანონპროექტმა ავტონომიის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პეტერბურგის პოლიტიკურს წრეებში. სხვათა შორის ამბობდნენ, რომ კადეტები უკმაყოფილონი არიან და მხარს არ დაუჭერენ ავტონომიის პროექტსაო. „რეჩ"-მაც გადაჰკრა პოლონელ დეპუტატებს და უკანასკნელნი გაჯავრდნენ: გადასწყვიტეს კიდეც, კადეტებს გადავუდგებითო. ამ გარემოებას პოლონეთის საზოგადოებასა და პრესსაშიაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ყველას მოსწყურებია, ნამდვილი ლი აზრი გაეგოთ კადეტების დამოკიდებულების შესახებ. გაზეთ „ლუდსკოსჩი"-ს რედაქციას ამის გაგება მიუნდვია პეტერბურგში მცხოვრებ ერთ გავლენიან პოლონელისათვის და ეს უკანასკნელი ახლა შემდეგსა სწერს ამაზე:

კადეტებს, როგორც ნამდვილად გავიგე, სრულიადაც არ შეუცვლიათ თავიანთი პოზიცია პოლონეთის ავტონომიის საკითხში. კადეტები თავიდანვე ამბობდნენ და ახლაც იმეორებენ, რომ პოლონეთის ავტონომია განხორციელებული იქნება იმ წამსვე, რა წამსაც რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რეჟიმი. ამ მხრით ყველაფერი უცვლელად რჩება. კადეტებს არავითარი ვალდებულება არ უკისრნიათ პოლონეთის შესახებ: ისინი საკუთარ პროგრამას ასრულებენ და ამის მიხედვით აუცილებელ საჭიროებად სთვლიან პოლონეთის ავტონომიას. საკითხი მხოლოდ ტაქტიკას შეეხება: როდის და როგორ იქმნას ეს საკითხი დაყენებული რუსეთის პარლამენტში. კადეტების ლოზუნგია: რაც შეიძლება ფართო ავტონომია პოლონეთს, მაგრამ ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი სრულ პარლამენტალურ სახელმწიფოდ გადაიქცევა. რაც შეეხება ახლანდელს უკმაყოფილებას კადეტებისას, ეს იმით აიხსნება, რომ პოლონელთა «კოლო»-მ არაფერი არ აცნობა კადეტებს, რომ კანონ-პროექტი შეაქვს; ფრაქციამ მხოლოდ ორის დღის წინ შეატყო «კოლო»-ს გადაწყვეტილება და ვერც-კი მოემზადა თავის აზრის გამოსათქმელად.

დასასრულ ავტორი აცხადებს, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კადეტები მხარს დაუჭერენ „კოლო"-ს კანონპროექტს მანამდისაც კი, სანამ „რუსეთში სრული დემოკრატიული რეჟიმი განხორციელდება"-ო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იმედი არ გაუმართლდებათ პოლონელებს. კადეტები ერთობ ფრთხილ ტაქტიკას ადგიან და საეჭვოა, რომ დღევანდელს პირობებში ისეთ მძიმე საკითხში შეებრძოლონ მთავრობას, როგორიც არის ავტონომიის საკითხი; მით უმეტეს, რომ დარწმუნებულნი არიან, რომ სულ ერთია პროექტს სახელმწიფო საბჭო არ მისცემს მსვლელობას.

## დაზარალებულ მეგრელთა სასარგებლოდ

ამასთანავე გიგზავნით შემომწირველთა სიას. შემოსწირეს მოუსავლობით დაზარალებულ მეგრელთა სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია:

ანტონ ბაზილია 1 მ., გრიგოლ ხუხუნი 10 მ., მ. მ. ქართველიშვილი 5 მ., გიორგი კონიშვილი 3 მ., ალექსანდრე მურვანიძე 2 მ., გ. ბაქრაძე 1მ., ✕ 1 მ., კოსტა ჩხაიძე 1 მ., А. Таировъ 1 მ., გიორგი გერმანაშვილი 50 კაპ., Я. Звонаревъ 50 კ., არ. თაკაძე 50 კ., ვლადიმერ გაბუჩია 50 კ., М. Галкинъ 30 კ., К. Сердюковъ 45 კ., კალატოზოვი 30 კ., Мамедовъ 25 კ., А. Подкорытовъ 20 კ., Котошевъ 20 კ., В. Ветицкій 15 კაპ., И. Ливановъ 15 კ. სულ 29 მანეთი, აქედან დაიხარჯა ფულის გასაგზავნად 39 კაპ. **ანტონ ბაზილია.**

—

უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული, 52 მანეთი, გადასცეთ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას დამშეულთა სასარგებლოდ. ამასთან გიახლებთ წერილს*).

**ლ. ქართველიშვილი.**

—

მიიღეთ ოთხასი მანეთიც ოდესელ ქართველ სტუდენტებისაგან, მიმართულების განურჩევლად დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ. გთხოვთ გადასცეთ, სადაც ჯერ არს. სტუდ. მონდ. **კ. მეუნარგია.**

—

დამშეულ ქართველთა სასარგებლოდ გიგზავნით ნოვო-ალექსანდრიაში (ლიუბლინის გუბერნია) შეკრებილ ფულს—3 მან. 20 კაპ.

შემომწირველთა სია: ვ. ფალავანდიშვილი 1 მ., №—1 მ., გ. საყვარელიძე—70 კ. იოსებ ქურდიანი—50 კ. **ი. კარბელაშვილი.**

—

ამას გარდა დამშეულთა სასარგებლოდ მივიღეთ ხონის მასწავლებლო სემინარიის მასწავლებელთაგან: 10 მან. 50 კ., დოლიძე—1 მან. 50 კ.? რელაშვილისაგან—1 მან.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.** მართალია, ბევრი დაიწერა ვაჭრობა-მუშაობის დროის მომწესრიგებელ კომისიაზე, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ისე არსად გართულებულა საქმე, როგორც თელავში და ამ ბოლო დროს ხომ გუბერნატორის ყურადღებაც მიიქცია. ამ კომისიის თავმჯდომარეს ჯერ ქალაქის მოურავისაგან მოუვიდა ქაღალდი, არამც და არამც გარეშენი არ შეუშვა და კრება „საიდუმლო" მოახდინეო, მერე მაზრის უფროსისგან ამავე საგანზე და კრების დღე წინდაწინვე შეგვატყობინეთო, ბოლოს კრებაზე თვით პოლიციაც გამოცხადდა. ამის და მიუხედავად კომისიამ მაინც გაათავა მოქმედება, ოქმები გადასცა თვითმართველობას გუბერნატორთან წარსადგენათ, რომელიც ალბად ამ ცოტა ხანში დაამტკიცებს.

ვაჭრების დადგენილება უკვე გავაცანით მკითხველთ, ეხლა საჭიროდ ვცანით ხელოსანთა კომისიის ოქმების გაცნობა; აი ეს დადგენილებაც: 1. სახელოსნო დაწესებულებებში მუშაობა უნდა იყოს დღეში 10 საათს, რომელშიაც შევა 2 ს. დასვენება და პურის ჭამის დრო; 2. დუქნები დია უნდა იყოს დღეში 11 საათს; 3. 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე გაიღება დილის 6 საათზე, დაიკეტება საღამოს 5 საათზე; 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე 8—7 საათ.: 4. კვირაძლობით და უქმეების წინა დღეებში დუქნები უნდა დაიკეტოს ერთის საათით ადრე; 5 განსაზღრულ სამუშაო 11 საათს წელიწადში 60 საათი ემატება სხვა და სხვა ამქარში სხვა და სხვა დროს; როგორც წინად გადასწყვიტეს, ეს მუხლი შეუცვლელად დარჩა; 6. 17 წლისაზე პატარა შეგირდები უნდა განთავისუფლდნენ დღეში 3 საათს 9 - 10 ს. სწავლისათვის, დასვენების გარდა. პარიკმახერებს ნება ეძლევათ იმუშაონ 12 საათს, გაიღონ 8 საათზე და დაკეტონ საღ. 8 საათზე. რაც შეეხება აბრეშუმის ამოსახვევ ქარხანაში მუშაობის დროს განსაზღვრას, კომისიამ ერთხმად დაადგინა, რადგან ეს ამის ფარგალში არ შედის, აღიძრას შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე, რათა მან დააწესოს ამათთვის 8 საათის სამუშაო დრო, რომელშიაც უნდა შევიდეს 2 საათი პურის საჭმელად და დასასვენებლად, რადგან მუშების უმრავლესობა მცირე წლოვანია (7—15 წლ.) სულ ქალები და თვით სამუშაოც ძნელი და აუტანელია —ლი.

## რუსეთი

✦ **იუსტიციის სამინისტროს განზრახვა.** ამ ჟამად ინგლისში თავ-მოყრილნი არიან კონგრესზე რუსეთის სოც.-დემოკრატიის წარმომადგენელნი, რომელთა შორის სათათბიროს რამდენიმე დეპუტატიც არის. იუსტიციის სამინისტროს უმაღლესი მოხელეები სცდილობენ რაიმე იურიდიული საფუძველი გამოძებნონ, რათა ხსენებული დეპუტატები სამშობლოში დაბრუნებისთანავე უკანონო კრებაზე დასწრებისათვის პასუხის გებაში მისცენ.

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** რუსეთის დასავლეთ საზღვარზე ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებას პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტმა გაუგზავნა სია იმ სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც რუსეთიდან ინგლისში გაემგზავრნენ კრებაზე დასასწრებლად. დეპარტამენტი აქაურებს პოლიციის მოხელეებს რუსეთში დაბრუნებისას სოც.-დემოკრატები სასწრაფოდ დაატუსაღონ.

✦ **განკარგულება სამღვდელოების მიმართ.** სინოდმა განკარგულებით მიმართა თავის ხელ-ქვეით სამღვდელოებას—ამიერიდან არავითარი მონაწილეობა აღარ მიიღოს რუსთა კავშირის წევრთა ყველა დემონსტრაციებსა და მიტინგებში.

✦ **უწესოება სოფლად.** პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მოუვიდა ტულის, სარატოვის და ტამბოვის გუბერნატორებისაგან სოფლად მომხდარ უწესოებათა შესახებ. გუბერნატორები იუწყებიან, საერობო დარაჯები სამსახურის ასრულებაზე უარს ამბობენ და გთხოვთ კაზაკები მოგვაშველოთ უწესოებათა ჩასაქრობადაო.

✦ **რკინის გზებზე დასჯილნი.** 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ დღემდი სრულიად რუსეთის რკინის გზებზე გადაუყენებიათ სამსახურიდან 816 უმაღლეს განათლება მიღებული და ცხრამეტი ათასი საშუალო და დაბალი განათლების მქონე მოსამსახურე.

✦ **მღვდლის პეტროვის საქმე.** მკითხველებმა იციან, რომ მთავრობისაგან დევნილი სათათბიროს დეპუტატი მღვდელი პეტროვი ამ ჟამად სასჯელს იხდის ჩერემენეცის მონასტერში. მოკლე ხანში სასჯელის ვადა დასრულდება, მაგრამ უმაღლესი სასულიერო მთავრობა ამას არ სჯერდება და პეტროვს მღვდლობის ჩამორთმევას უპირებსო. მიზეზად მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ის წერილები მოჰყავს, რომელიც პეტროვმა მონასტრიდან სხვა და სხვა გაზეთებში გაგზავნა დასაბეჭდად.

✦ **მონარხისტების კრება.** მოსკოვში ამ ჟამად მონარხისტები არიან თავ-მოყრილნი და სხვა და სხვა დღევანდელ საკითხებზე მსჯელობენ. ორატორების უმრავლესობა იმ აზრს დაადგა, რომ რუსეთში საჩქაროდ დიქტატურის შემოღება და სათათბიროს დაშლაა საჭირო. წარმოითქვა სიტყვები საარჩევნო კანონის შეცვლის საჭიროების შესახებ, აღნიშნეს აგრეთვე, რომ ძირითად კანონებში უნდა შეტანილ იქნას ახალი მუხლი იმის შესახებ, რომ ხელმწიფეს უნდა ჰქონდეს უფლება ძირითად კანონებში ცვლილება შეიტანოს. კრუშევანმა ბევრი ილაპარაკა კრებაზე. სხვათა შორის სთქვა, რომ მემარჯვენეების ნაკლი უფულობაა. ფულის მეტი არაფერი გვჭირია რუსეთში რევოლიუციის ჩასაქრობადაო,—დაასრულა სიტყვა სასიქადულო ორატორმა.

✦ **ფულის გაფლანგვა.** სახელმწიფო კონტროლმა განიხილა გასამართლებელი საბუთები ბაიკალის ტბის შემოსავლელ რკინის გზის ამშენებლებისაგან წარმოდგენილი და აღმოაჩინა, რომ 8 მილიონი მანეთი უსაბუთოდ იქნა დახარჯული. ეს საქმე მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბიროს გადაეცემა გამოსარკვევად.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით გენერალ-ლეიტენანტი სტესსელი, ფოკი და სმირნოვი და გენერალ-მაიორი რეისი მთავარ სამხედრო სამართალში მისცეს პორტ-არტურის იაპონელებისათვის გადაცემისათვის. მთავარი სამხედრო პროკურორი საბრალმდებლო ოქმის შედგენას შეუდგა.

**მოსკოვი.** რუსთა კავშირის სრულიად რუსეთის კრება დასრულდა.

**პრონსკი.** 30 აპრილს 4 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა პერევოლესსკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას. გაიტაცეს 500 მანეთი. უცნობთ გამოუდგნენ და ათი ვერსი სდიეს. ორი მათგანი უთუოდ დაიჭრა. მდევართაგანიც ორი მძიმედ დაიჭრა.

**ეკატერინოსლავი.** იუზოვკაში დააპატიმრეს რამდენიმე ახლად ჩამოსული რევოლიუციონერი. მათ აღმოაჩნდათ ბრაუნინგები, ხანჯლები და სხვა.

**ვენა.** 1 მაისს მთელ ავსტრიაში რეიხსრატის არჩევნები იყო ახალის საყოველთაო საარჩევნო წესით. უმთავრეს ქალაქებიდან იუწყებიან, რომ მცხოვრებლები არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას იღებენ.

**ლონდონი.** «დეილი-ნიუს»-ს აუწყებენ კალკუტიდან: მოხდა დიდი მიტინგი, რომელმაც პროტესტი გამოუცხადა მთავრობა-

---

დველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არეულ სახელმწიფოში, სადაც ერთი ეროვნება სჭარბობს მეორეს რიცხვით, მეურნეობითა და კულტურით, ფედერაციის შემოღება პირველ ხანებში მაინც უფრო ძნელია, ვიდრე ფართო პოლიტიკურ ავტონომიისა, რადგან, თუმცა გაბატონებული ეროვნება უთმობს სხვა ოლქებსა და ერებს განსაზღვრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ ნამდვილად არ სურს ეს ოლქი ან ერი თავის თანასწორ ფაქტორად აღიაროს.

ეხლა ვნახოთ, შეეფერება თუ არა ფედერაცია და სახელმწიფოს ნაწილთა პოლიტიკური ავტონომია თანამედროვე კაპიტალიზმის ტენდენციას.

ფაქტები ცხადად და უცილობლად ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის ევოლიუცია არა თუ არ ეწინააღმდეგება ავტონომიურ და ფედერატიულ დაწესებულებებს, არამედ ხელს უწყობენ მათ განვითარებას. გადავავლოთ თვალი ავსტრიის შინაურ ურთიერთობას, ინგლისისა და მის კოლონიების შორის არსებულ დამოკიდებულებას და ჩრდილოეთ ამერიკისა, შვეიცარიისა და გერმანიის შინაურ ცხოვრებას.

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრიაში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა იდეა პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისა. 1848 წლამდის ავსტრია თვითმპყრობელური ცენტრალისტური სახელმწიფო იყო; ეხლა მისი ოლქები ავტონომიურად არიან მოწყობილი (თუმცა მათი ავტონომია ფართო არ არის) და იდეა სრულ დეცენტრალიზაციისა დღითი-დღე უფრო მაგრა იკიდებს ფეხს.

ავსტრია და ჰუნგრეთი რეალურ უნიით არიან შეერთებული და ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირად ხდება ხოლმე უკმაყოფილება და პოლიტიკური კინკლაობა. უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, რომ მათ არა აქვთ ისეთი საერთო ცენტრალური დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს გაწერა საერთო ხარჯისა, დაწესება საერთო ბაჟისა, რკინის გზების წესდებისა, ფოსტისა, ტელეგრაფისა, ჯარისა და სხ თანამედროვე სახელმწიფოსთვის აუცილებლად საჭიროა ენერგიული და შეერთებული მთავრობა, რომელმაც ამ მხრით სახელმწიფოში ერთი მთლიანი სისტემა უნდა შემოიღოს. ავსტრიისა და ჰუნგრეთის ურთიერთობა კი იმაზეა დამყარებული, რომ დროგამოშვებით ორივე სახელმწიფო დროებით პირობებს სდებენ ერთმანეთ შორის, რომელსაც ხშირად არავითარი რეალური შედეგი არ მოსდევს, ეს კი სახელმწიფოს ასუსტებს და არყევს.

ასეთ მდგომარეობიდან მხოლოდ ორი გზით შეიძლება გამოსვლა: ან უნდა მათ შორის უნდა მოისპოს და საერთო კანონმდებლობა დაწესდეს, ან მთელი ავსტრო-ჰუნგრეთი ფედერაციათ გადაკეთდეს და ყოველი ფედერატიული შტატი შემოიხაზოს იმ საზღვრებში, რომელშიაც ერთი ეროვნება ცხოვრობს, იმ პირობით კი, რომ იქ მცხოვრებ სხვა ერთა უფლება უზრუნველ ყოფილ იქმნას. მაგრამ ჰქვეშიაც არავინ გაივლებს და არავინ იტყვის, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთის დავის გადაწყვეტა წინანდელ ცენტრალიზმის აღდგენით შეიძლებოდეს. ფედერაცია ჰუნგრეთსა და ავსტრიის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერებს მიანიჭებდა შინაურ დამოუკიდებლობას, მთელ სახელმწიფოს კი ერთ ცენტრალურ დაწესებულებას, პარლამენტს, რომელიც მოაწესრიგებდა საზოგადო საქმეებს ხმის უმეტესობით და არა გაბატონებულ ერთა და კლასთა ხელშეკრულობით, როგორც ეხლა ხდება. ის კი ცხადია, რომ კაპიტალიზმის ევოლიუცია ავსტრო-ჰუნგრეთში არავითარ ცენტრალიზაციას არ აძლევს ნიადაგს.

ინგლისისა და მის კოლონიების დამოკიდებულებასაც რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ კაპიტალიზმის ევოლიუცია არა თუ არ ზღუდავს და არ ამცირებს კოლონიების დამოუკიდებლობას ინგლისთან, არამედ—პირიქით, აფართოვებს და ანავითარებს კიდეც. ეხლანდელი კანადა და ავსტრალია თითქმის სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, რომელთაც სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულების უფლებაც კი აქვთ. ინგლისი თითქმის არასოდეს არ სარგებლობს თავის უმაღლეს უფლებებით და იშვიათად ერევა ამ კოლონიების საქმეებში. თუმცა მოტლანდია დიდი ხანია შეურთდა ინგლისს, მაგრამ მან მაინც შეირჩინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა სასამართლოს მოწყობაში, ლორდთა პალატაში წარმომადგენლობას სხვანაირ ორგანიზაციაში და სხ. უკანასკნელ ხანებში ინგლისში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ საჭიროა კოლონიებისა და მეტროპოლიის მჭიდრო შეკავშირებაო, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ინგლისი ცენტრალურ წყობილებას დაუბრუნდეს, არამედ ბრიტანიის ფედერაციის დასაარსებლად.*) ის თეორია, რომელიც ამტკიცებს, ვითომ კაპიტალიზმის ევოლიუციას თან მოსდევს სრული ცენტრალიზაცია სახელმწიფო დაწესებულებებისა, სადაც შეუძლებელია ავტონომია და ფედერაცია, ცხოვრებამ უარჰყო და მის შეცდომას ცხადად ამტკიცებს პოლიტიკურ ურთიერთობის ევოლიუცია ჩრდილოეთ ამერიკასა და გერმანიაში.

(შემდეგი იქნება)

*) ერთი თვის წინად ლონდონში შეიკრიბნენ ინგლისის ყველა კოლონიების მინისტრები ამ საგანზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ საქმე მხოლოდ იმით გათავდა, რომ გადასწყვიტეს განსაკუთრებულ კოლონიალურ ბიუროს დაარსება, რომელსაც არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექნება. მთარგმნელი.

*) წერილი რედაქციას არ მიუღია. რედ.

ბას რეპრესიებისათვის. დაესწრნენ 2000-მდე(?) სხვა და სხვა ტომების წარმომადგენელნი.

**რიგა.** კრეპოსტნი ქუჩაზე ხუთი უცნობი კაცი სტამბაში შევიდა და მუშაობის აღკვეთა მოითხოვა. სადარაჯოში მდგომმა პოლიციელმა თოფი ჰაერში ისროლა. ტყვია კედელს მოხვდა, ასხლტდა და თითონ პოლიციელივე დაჰრა. პოლიციელი გარდაიცვალა.

**ლოძი.** პაბიანიცის ახლო რიდზინაში სკარატინსკის ქალის სახლ-კარს მძარცველები დაეცნენ. მოიტაცეს ძვირფასეულობა და მიიმალნენ. შემდეგ ისინი დიბაკის სახლ-კარსაც მიუხტნენ. კაზაკებმა 4 კაცი დააპატიმრეს. მათ უნახეს ბრაუნინგი და ფულად 900 მანეთი.

**ოფენბახი.** მაგისტრატურის საყარაულო სადგომთან ყუმბარამ იფეთქა. კაცთაგან არავინ დაშავებულა. ზარალი საგრძნობელია. მიზეზი ჯერ არ იციან.

**პარიჟი.** 1 მაისს დილით პალატაში მემარცხენე ფრაქციების დელეგაცია მორიგ საქმეებზე გადასასვლელ ფორმულის გარჩევას შეუდგა. კლემანსომ უარი განაცხადა დელკასეს ფორმულის მიღებაზე. კლემანსომ განმარტა, რომ სურს სინდიკატების უფლება ხელ-უხლებლად დასტოვოს, ხოლო შრომის ფედერაციის რევოლიუციონერი მეთაურნი სამართალში მისცეს; ამასთან უკან არ დააბრუნებს დათხოვნილ მოხელეებს. მემარცხენეთა დელეგაციამ დეკლასეს ფორმულა უარჰყო და მიიღო კოდეს ფორმულა. რომელიც იმედს აცხადებს, რომ მთავრობა შესძლებს ჩააქროს ანარქისტების ანტიპატრიოტული პროვოკაცია, რომელმაც თავი იჩინა ზოგიერთ მემარცხენე წევრებს შორისაო.

**პარიჟი.** მიიღეს ფორმულის ყველა მუხლი, გარდა იმ მუხლებისა, რომელიც ფედერაციის წევრებს ეხება. ეს მუხლები, 12 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-სა, უარ-ჰყვეს. ფედერაციის კერძო წევრების სისხლის სამართლის პასუხის გებაში მიცემის შესახებ დელეგაცია ვერ შეთანხმდა და ამიტომ კოდეს ფორმულა თითქმის ერთხმად უარ-ყოფილ იქმნა. კრებამ დაადგინა: მიეცეს მემარცხენეებს თავისუფლება სიტყვისა და მოქმედებისა.

**ლონდონი.** როგორც «ივენინგ-სტანდარდტ»-ს აუწყებენ, დელში, სადაც ინდუსები რიცხვით სჭარბობენ მაჰმადიანებს, არეულობა მომხდარა. ამბობენ, დედოფალ ვიქტორიას ქანდაკებას გვირგვინი შოსტეხესო. არეულობა ინდოეთის ნახევარ კუნძულის სამხრეთ ნაწილშიაც გადავიდა. მადრასში ქუჩებში პატრულები დადიან. «დეილი-მეილი»-ს აუწყებენ სიმლიდან, რომ გაზეთი «იუგანარი», რომელიც კალკუტაში გამოდის, ადგილობრივ მკვიდრთ აქეზებს: მური იძიეთ, თუ არა გსურთ საუკუნოდ მონებად დარჩენაო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. ბრისონმა განაცხადა, რომ მორიგ საქმეებზე გადასასვლელი 15 ფორმულა შემოიტანესო. რიბომ თავის სიტყვაში მოიწონა ბრიანის სიტყვა წინანდელ კაბინეტის უჭკუო პოლიტიკის შესახებ და ურჩია, მასწავლებელ ნეგრს ისევ დაუბრუნონ თავისი ადგილი. ბრიანმა გააწყვეტინა და განაცხადა, რომ შრომის ფედერაციის სინდიკატის წევრობა დისციპლინის დარღვევაა; მოვალეობა გვავალებს ამას წინააღმდეგობა გაუწიოთო. (მოწონება ცენტრში). რიბომ განაგრძო და სურვილი გამოსთქვა, რომ ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლოს საშუალებით გაილაშქრონ. წინადადება მისცა კლემანსოს, დაადგეს მაგარ და პირდაპირ პოლიტიკას (მოწონება ცენტრსა და მარჯვნივ). სემბამ სთქვა, რომ ბრიანი წინანდელ განცხადებათა თანახმად არ მოქმედებს და ამიტომ დათხოვნილ მასწავლებლებს სასტიკად მოექცევაო. ჟორესმა ირონიულის კილოთი ილაპარაკა რადიკალებზე, რომელნიც მოხელეთა სინდიკატის შესახებ ვერ შეთანხმებულან. რადიკალები და სოციალისტები ერთმანეთს ხმა მაღლა შეებაანენ. როცა წეს-რიგი ისევ დამყარდა, ჟორესმა განაცხადა, რომ სოციალისტებს რადიკალებთან ერთად მოქმედება არა სურთო. კლემანსომ სთქვა, რომ უმრავლესობამ უნდა გამოსთქვას, სამართლიანად მოიქცა მთავრობა თუ არა, როცა ზომები მიიღო იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც რევოლიუციას აჩქენდნენ. მანიფესტის ცხარე კილო საკმაო საბუთია, რომ აღეკრძალათ მასწავლებლებისათვის ფედერაციაში წევრებად შესვლა. ფედერაციის დახურვა კი უკანონო იქმნებოდა, რადგან ფედერაციას ემხრობიან იმისთანა სინდიკატები, რომელნიც მმართველობის აზრს არ თანაუგრძნობენ. კლემანსო იმედოვნებს, რომ უმრავლესობა მხარს დაუჭერს მთავრობას და რეფორმათა პროექტების განხორციელების საშუალებას მისცემს. თუ უმრავლესობამ მუშაობაზე უარი განაცხადა, ამით მხოლოდ კანონმდებელ მთავრობის სიკოტრეს დაამტკიცებსო. კლემანსომ შემდეგი სიტყვებით გაათავა: «მე მომბეზრდა ამდენი ბრალდება, ვითომ მე საშიშ პოლიტიკას მივდევდე; ბატონო რადიკალებო (მიუბრუნდა რადიკალებს), მე თქვენ გიცდით». კლემანსო ტრიბუნიდან ჩამოვიდა (მოწონება სოციალისტებისა და მემარცხენეთა). ბრიანმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა კლემანსოს პალატას ეთანხმება. არც მე და არც მას არა გვსურს ბოროტად ვისარგებლოთ რეპრესიებით, მაგრამ ურჩებს კი დავსჯით: „გავაფართოვებთ სინდიკატების თავისუფლებას იმით, რომ დავიფარავთ მათ ძალმომრეობისაგანაო», დაამთავრა ბრიანმა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, ღირსება აჰხადა და წელიწად ნახევარი პატიმართა გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა ნოვოლადოგის საეროზო გამგეობის თავმჯდომარეს დემორს. დემორს 65,000 მანეთის გაფლანგვას აბრალებდნენ. გამგეობის წევრები უსტილოვი და ყარაულოვი გაანთავისუფლეს.

**პარიჟი.** პალატამ 460 ხმის უმეტესობით 75 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო ვალიანის ფორმულა, რომელშიაც გაკიცხვა იყო გამოთქმული. შემდეგ უარ-ჰყო კიდევ რამდენიმე სახელდახელო განცხადება, მათ რიცხვში, განცხადება შრომის ფედერაციის წევრების დროებით განთავისუფლების შესახებ. შემდეგ 351 ხმის უმეტესობით 214 ხმის წინააღმდეგ მიიღეს მოყანის ფორმულის ერთი ნაწილი, რომელიც მთავრობას ნდობას უცხადებს. ფორმულის მეორე ნაწილი, რომელიც ყოველსავე დამატებას უარ-ჰყოფდა, არ მიიღეს 325 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 236-ისა. მთლად ფორმულა მიღებულ იქმნა 343 ხმის უმეტესობით 210 წინააღმდეგ.

**ვენა.** ვენის 33 საამრჩევლო ოლქში აირჩიეს 20 ქრისტიანი-სოციალისტი, 8 ს.-დემოკრატი, ერთი გერმანულ პროგრესიული პარტიისა. ოთხი კაცი ხელ-ახლა უნდა აირჩიონ. არჩეულთა შორის არის ქრისტიანი-სოციალისტი ქალაქის თავი ლიუგერი, თავ. ლიხტენშტეინი, რომელიც ორ ოლქში აირჩიეს, ს.-დემოკრატი ადლერი. ბადენის ოლქში გაამავეს საერო განათლების მინისტრი მორკეტი. ქვემო ავსტრიის 64 ოლქში აირჩიეს 40 ქრისტიანი-სოციალისტი, 12 ს.-დემოკრატი, ერთი გერმანელი პროგრესისტი. 11 ოლქში არჩევნები ხელ-ახლა უნდა მოხდეს მინისტრად ნამყოფი რეიდტი სოც.-დემოკრატმა პრეტშნეიდერმა დაამარცხა. ჩეხიის 130 საარჩევნო ოლქიდან 110 ოლქის არჩევანი გამოაცხადეს. საბოლოოდ აირჩიეს მინისტრები პაჩაკი და პრადე. პრაგის მეორე საარჩევნო ოლქში ხელ-ახლა უნდა მოხდეს არჩევნები. ს.-დემოკრატებმა დაამარცხეს მინისტრად ნამყოფი ბუკოი და პარგენმანისტი შნერერი. შუადღემდის 367 ოლქის არჩევნების შედეგის ამბავი მოვიდა. აირჩიეს 213 დეპუტატი. არჩეულთა შორის არის ზედა პალატის პირველი პრეზიდენტი თავადი აუღრსპერგია.

**პეტერბურგი.** სამხედრო აკადემია შემოდგომამდი დახურეს. რადგან მე-5 კურსის სტუდენტებმა ობსტრუქცია გამართეს გამორიცხულ ამხანაგთა მხარის დასაჭერად. მიუხედავად ამისა, მე-5 კურსზე გამოცდა მაინც იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი**

# განცხადებანი

**მხოლოდ 1 მ. 50 კ. ვყიდი**
**და თითქმის მუქთად ვაძლევ!!!**

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფას-დადებით ბაჟის გასტუმრებით და გამოგზავნით უბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი— 2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10% ს დაუკლებთ. მიწერ მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.

(10—№ 16—5) (Метцль и К° № 15603)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, **წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—20) ია ეკალაძე-ცინცაძე.

### ფოთის ქალაქის
# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1907 წლის 29 მაისს, შუადღის 12 საათისთვის, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოდ დასახელებულ პირთა მამულებისა სახელმწიფო და საეროზო გადასახადების ნედოიმკების შესავსებად:

1. თურქია ლაზარე დავითის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე-13 კვარტალში, № 115, ზომით 992 8 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 30 მან. 41 კ.

2. ბერნატოვიჩი მათე ეფრემის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის 21 კვარ., № 203, ზავოდსკის ქუჩ., ზომით 200 ოთხკუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 3 მან. 23 კ.

3. ხრელიჩი კაზიმირ ოსიპის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე-69 კვარ., № 678, ციციანოვის ქუჩაზე, ზომით 420 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკა 2 მ. 78 კ.

4. ანდრია დუბინინის მემკვიდრენი: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე-14 კვ., № 124, როზენის ქ., ზომით 652,5 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 54 კ.

5. დიმიტრი სმირნოვის მემკვიდრენი: ცარიელი ნაჭერი მიწისა, №№ 113 და 114, მორსკოის ქ. და ლევაშოვის სანაპიროზე, ზომით 520 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 45 მ. 69 კ.

6. ბარბარე ერისთავისა: ნაჭერი მიწისა, № 143, ლაზარევის ქ., ზომით 400 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 7 მ. 34.

7. ბოჭორიშვილი ანტონ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 700, ბებუთოვის და კოლხიდის ქუჩების კუთხეში. ზომით 390 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 1 მ. 52 კ.

8. აბრამ და ისკაკ მიხაილიშვილის მემკვიდრენი: ცარიელი ნიჭერი მიწისა, № 805, მდებარე ფოთის მე-81 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 510 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 10 მ. 6 კ.

9. დადიანი მიხეილ მელიტონის ძე: ცარიელი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე 82 კვ., № 807, როზენის ქ. ზომით 450 ოთხკ. ს. ნედოიმკა 7 მ. 86 კ.

10. მურუსიძე პეტრე და ფოფხაძე: მიწის ნაჭერი №№ 703 და 704, მდებარე ფოთის მე 61 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 348 ოთხკ. ს. ნედოიმკა 71 კ.

11. ქვანია დიმიტრი: ცარიელი მიწის ნაჭერი, კერჩენსკის და პოტიომკინსკის ქუჩების კუთხეში, № 609, ქ. ფოთის დიდ კუნძულზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 72 კ.

12. ჩილიაევისა მარიამ მიხეილის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 1114, დიდ კუნძულის პეტროვსკის სანაპიროზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 55 კ.

13. შაბუროვი სოლომონი: ცარიელი ადგილი, № 582, მდებარე დიდ კუნძულზე, კარჩენსკის და სინოვინსკის ქ., ოზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 63 კ.

14. შილკინისა ეფროსინე ივანეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 885, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 27 კ.

15. ზურაბ გაბუნიას მემკვიდრენი: ნახევარ ცარიელ მიწის ნაჭრისა, № 465, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის და იალტის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 23 კ.

16. ემნუილ თეოდორე, დღეს ელიმპიადა ემანუელისა: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 993, მდებარე დიდ კუნძულის სევასტოპოლის ბულვარზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 22 მ. 20 კ.

17. ალექსანდრე ანდრეევის მემკვიდრენი: ცარიელი მიწის ნაჭერი. № 889, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 14 კ.

18. იანოვსკისა გენრიეტტა: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 32, მდებარე დიდ კუნძულზე, მიხეილის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 8 მ. 47 კ.

19. ხანდილი სტავრო, ცარიელი მიწის ნაჭერი, № 40, მდებარე დიდ კუნძულზე, ნიკოლაევის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 4 მ. 43 კ.

20. გაიდამაშჩუკი თეოდორე: ცარიელ მიწის ნაჭერი, № 888, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ, ზომით 186 ოთხკ. ს. ნედოიმკა 80 კ.

21. ლოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე ცარიელი მიწის ნაჭერი, № 70, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვსკის და ხერსონის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ.-ს. ნედოიმკა 13 მ. 34 კ.

22. დიუდიჩი ვილჰელმ პეტრეს ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 776, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 4 მან. 21 კაპ.

23. იმნაძისა ეფროსინე ალექსის ასული: მიწის ნაჭერი, № 855, ძველ ხის სახლით, მდებარე დიდ კუნძულზე ბერდიანსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 64 კაპ.

24. კიზირია გოგია, ცარიელი მიწის ნაჭერი, № 487, მდებარე დიდ კუნძულზე, ისტომლინის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 6 მ. 73 კ.

25. კინწურეიშვილი თეოფანე: მიწის ნაჭერი, № 611, ხის ფლიგელით რკინით გადახურული, დიდ კუნძულზე, კერჩენსკის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. 2 მ. 44 კ.

26. ლიუბინსკი ვასილ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 641, მდებარე დიდ კუნძულზე, ნარიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 1 მ. 08 კ.

27. ხუხიაშვილი გიორგი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 597, მდებარე დიდ კუნძულზე, ლეფორტოვის და კარჩენსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 3 მ. 63 კ.

28. მელიქ-აგამონოვისა ელენე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 642, მდებარე დიდ კუნძულზე, ტაგანროგის და კარნილოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 6 მ. 11 კ.

29. ნაკაშიძისა სოფიო: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 75, მდებარე დიდ კუნძულზე, ხერსონის ქ., ზომით 200 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 3 მ. 54 კ.

30. ხოშტარიასი პელაგია პეტრეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 236, ლიალინის ქ., ზომით დაახლოვებით 130 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 23 მან. 23 კ.

31. მიხაილაშვილი არონ აბრამის ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 249, მდებარე მე-24 კვ., ივანოვის ქ., ზომით დაახლოვებით 260 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 56 მან. 32 კ.

32. ეფრემაშვილი დავით ისლაკის ძე: მიწის ნაჭერი, № 19, ერთის ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-III კვ., გრეჩესკის ქ ზომით 20 ოთხკ ს. ნედოიმკა 30 მ. 15 კ.

33. ჯანჯღავასი ეფროსინე შავარდენის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 253, მდებარე მე-XXIV კვ, ლაზარევიჩის და ივანოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 260 ოთხკ. ს ნედოიმკა 15 მან. 86 კ.

34. გასან-ჯალალოვა ივანე გრიგორის ძე: მიწის ნაჭერი, № 238 ორი ხის სახლით, მდებარე მე 23 კვ. ლაზარევიჩისა და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 87 მ. 63 კ.

35. კვინიხიძე ბესარიონ მაიეს ძე: მიწის ნაჭერი, № 44 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქუჩ., ზომით 30 ოთხკ. ს. ნედოიმკა 36 მ. 33 კ

36. ნასხლეტაშვილი აბრაამ, მიწის ნაჭერი, № 45 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქ., ზომით 40 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 26 მ. 03 კ.

37. ჩილინგირი იანი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 277, მდებარე მე-25 კვ., მინგრელსკის და ლაზარევიჩის ქუჩების კუთხეში, ზომით 40 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 41 კ.

38. ტორონჯაძე პავლე იაკობის-ძე: მიწის ნაჭერის ნაწილი, № 763, ერთი ხის სამზარეულოთი, მდებარე მე-35 კვ., მინგრელსკის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 5 მ. 51 კ.

39. მიხაილაშვილი არონ აბრამის-ძე: მიწის ნაჭერი, № 45, ოთხი ქვითკირის დუქნით და ერთი ფურნეთი, მდებარე მე 4 კვ. მიხეილის და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს- ნედოიმკა 204 მ. 86 კ.

და 40. გვასალია დუტუ ნიკოლოზის-ძე: ნახევარი მიწის ნაჭერისა, № 451, მდებარე მე-XXXV კვ., სვანეთის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 94 კ.

(3—6.—3)

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**
ახალი ქართული წიგნი
**ცოდნა და რევოლიუცია**
გადმოკეთებული მთაგორელისმიერ, გამოცემა „გუთნისა“; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—5)

**ახალი წიგნი**
„ჭეშმარიტი სოციალისტი და ჩვენებური სოციალდემოკრატია“
ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.
იყიდება ამავე ავტორის შემდეგი წიგნები:
„სადღეისო საუბარი სოფლელ ჭკვიანებს“ . . . . . . . 20 კ.
„მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება“ . . . . . 10 კ.
„ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებასთან“ . . . . . . . 35 კ.
„წერილი სოფლელ მუშას“ . . 5 კ.
„სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს. . . . . . . . 5 კ.
მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს. (7—72—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**სატიროა**
**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**
საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.
**პირველი კავკას. ამხანაგობა**
მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—3)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ
**კეფირი**
**ი. კორონისა**
კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმსუქნეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.
ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს
ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.
5 აპრილიდან მზადდება
**კუმისი**
მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხაღ.—3) პატივ. **ი. კორონა.**

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში
„ბნელეთის ევოლიუცია
თაგვ-ეშმაკთ რევოლიუცია“.
პ. აკობიასი. ფასი 5 კაპ. (6—6—6)

**21** აპრილს ტფილისიდან გორში მიდიოდა ოჯახობა ერთის **მეტად საწყალ გლეხისა**, რომელსაც ეს მეორე წელიწადია აქეთ-იქით უხდება თავის მოფარება. უპატრონობით ბილეთის აღება ვერ მოესწროთ, რის გამო მატარებლიდან ჩამოსვლა მოუხდათ. ბავშვებისა და სხვა და სხვა ხაბაკის ჩამოტანის დროს ვაგონში ერთი წყვილი კაცის წაღები დარჩენოდა (ნახმარი) და ხელის ყუთი, სადაც ქალი ინახავდა თავის ნივთებს, მათ შორის იყო ½ დუჟინის ვერცხლის კოვზი და სხვა და სხვა ქალის ნივთები, ასე 30 მან. ღირებულობისა. თუმცა მდიდრისათვის ბევრი არაფერია, მაგრამ ღარიბისათვის მთელი საცხოვრებელია. ქალს გამოუცდელობით იქ არავისათვის მიემართნა, რადგან გვიან მოჰგონებია, თუმცა მეორე დღის გორის სადგურის უფროსთან გამოაცხადეს, მაგრამ იმას ეთქვა, ეხლა გვიან-ღაა და ჩვენ არაფერი შეგვიძლიაო. მაინც იმედი მაქვს, თუმცა გვიან-ღაა, რომ პატიოსანი მპოვნელი არ იკადრებს და არ მიითვისებს გაჭირვებულ კაცის ნივთებს. მპოვნელს ვთხოვ, გამოჰგზავნოს გორში ჩემ სახელობაზე, და თუ ჰსურს დამკარგველის ვინაობასაც იქ გაიგებს. მპოვნელის სახელი და გვარი გაზეთში იქნება გამოცხადებული. **თ. რამიკაშვილი.**